ცნობის ფურცელი

№ 2520 ხუთშაბათი, 10 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2520

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-
—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში
და დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს
საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ლამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ყმაწვილები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, კარგი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად და წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ლამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—16)

პანსიონი

(...ნეკის ქუჩა, სლივიცკის სახლებში, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ)

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა

...ივნისიდან გადადის საგარაკოთ სოფ. შინდისში (გორ. მაზ.). მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—8)

„იუჟნიე ნომერა“

...რონის ქუჩაზე, სახლი ა. მანთაშევისა, ახლად გადაკეთებულია. თითო ნომერი ქირავდება დღიურად 50 კაპ. დაწყებული და თვიურად 15 მანეთიდან დაწყებული. (6—230—4)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემ აწმენდა ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ბ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ...თამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ...ნიჟელის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში

ექიმი ბ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—20)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყოროღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ...ყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ჭაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

...ამის თვით მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში, სექტემბრიდან კი გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლებში № 12, „კრუჟოკის“ გვერდით. (5—2)

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკანდიტერო დარბაზში

იყიდება

მიტროფანე ლაღიძის

საუკეთესო ქარხნის ნამდვილი

ხილეულის

მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—ნქ.—6)

ბუნების მეტყველების უმაღლეს კურსის

სტუდენტი, დახელოვნებული რეპეტიტორი

ეძებს გაკვეთილებს.

ბორჯომის ქუჩა № 10, სტუდენტი ქავთარაძე. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. (5—6.—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივნისი

ხარბინი. (სააგენტოს საკუთარ კორრესპ.). პორტ-არტურში 26 მაისამდე სრული სიწყნარე იყო. ალყის შემორტყმამ ვერ შესცვალა ჩვეულებრივი ცხოვრება: ყველა თავის საქმეს აკეთებს. უქმ დღეებში ბულვარზე მუსიკა უკრავს და პორტ-არტურელები და დალნელები არხეინად სეირნობენ. „რეტვიზანი“ და „ცესარევიჩი“ შეაკეთეს და პორტ-არტურის ესკადრას შეუერთეს. „პობედა“ ივნისის პირველ რიცხვებში იქნება მზად. „ნოვი კრაი“ ყოველდღე გამოდის და იმდენივე ცალი იბეჭდება, რამდენიც ალყის შემორტყმამდე, რათა შემდეგ ყველა ხელისმომწერი დააკმაყოფილოს.

ნიუ-იორკი. გრაფ კასსინიმ შემდეგის წინადადებით მიჰმართა სახელმწიფოს სეკრეტარს გეის: რადგან ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს ნეიტრალიტეტის დაცვა აქვთ აღთქმული, შტატების მთავრობამ იაპონიის ელჩს ტაკახირას ყურადღება უნდა მიაქციენოს იაპონიის საზღვაო აგენტის საქციელზე. ამ აგენტმა, კაპიტანმა ტაკესიტამ, 28 მაისს „ამერიკულ-აზიურ საზოგადოების“ ნადიმზე, რომელსაც ჩინეთის პრინცი პულუნი დაესწრო, სიტყვა წარმოსთქვა და „ბანზაი“ დაიძახა, ხოლო „ბანზაი“ გამარჯვებას ჰნიშნავს. აგენტის სიტყვას დამსწრენი ტაშის ცემით მიეგებნენ. გრაფ კასსინი აცხადებს, ასეთი საქციელი რუსეთის საელჩოს წევრს რომ ჩაედინა, 24 საათის განმავლობაში გავაძევებდი ამერიკიდანაო.

9 ივნისი

პეტერბურგი. ვიცე-ადმირალის სკრიდლოვის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 8 ივნისს: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას შემდეგს: 30 მაისს იაპონიის საზღვაო გზებზე სამოქმედოდ, ვიცე-ადმირალის ბეზობრაზოვის უფროსობით, წავიდა ესკადრა, რომელშიაც იყო კრეისერები „როსსია“, „გრომობოი“ და „რიურიკ“. 7 ივნისს, ღამე, ესკადრა ვლადივასტოკშივე დაბრუნდა. თავისს მოქმედების შესახებ ესკადრის უფროსი მაცნობებს: 2 ივნისს ესკადრა ჩრდილოეთიდან წავიდა სიმონოსეკის სრუტესაკენ და გაჩერდა ამ სრუტიდან 20 მილის მანძილზე, როდესაც ჰორიზონტზე დაინახა ორი გემი. ჩვენი ესკადრა გამოედევნა ამ გემებს, მაგრამ სიშორის გამო ვერ დაეწია. ამავე დროს გამოჩნდა მესამე გემი, რომლის დაჭერაც დაევალა კრეისერს „გრომობოი“-ს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს გემი ტრანსპორტი „იძუმარუ“ იყო. ჩვენებმა მოსთხოვეს გაჩერება, მაგრამ ტრანსპორტი არ გაჩერდა, ვიდრე რამდენიმე ყუმბარა არ მოჰხვდა. როდესაც ტრანსპორტი გაჩერდა, ზედ მყოფნი წყალში ხტოდნენ. „გრომობოი“-მ მოსთხოვა გემზე მყოფთ, წასულიყვნენ. მალე ჩამოუშვეს ორი ნავი და იაპონელები გემიდან ჩავიდნენ. ისინი, ვინც წყალზე დაცურავდნენ, ჩვენ გემზე მიიღეს. შემდეგ „იძუმარუ“-ს ყუმბარები ესროლეს და ჩასძირეს. ამ გემით იაპონელები ეზიდებოდნენ ჯარსა და საომარ მასალას. გემი 3000 ტონისა იყო. „გრომობოი“-ზე გადასხეს სულ 105 კაცი, აქედან 17 აფიცერია. „იძუმარუ“-ს ჩაძირვის შემდეგ „გრომობოი“-მ ორი სხვა გემი დაინახა და დაედევნა. ეს გემებიც ტრანსპორტები აღმოჩნდნენ—„სადომარუ“ და „ხიტაჩუმარუ“, თითო 6,000 ტონისა. ტრანსპორტებზე, სამხედრო ბარგის გარდა, აღმოჩნდნენ, პირველზე—სატელეგრაფო უწყების ხელოსანნი 12 აფიცრითურთ, ცხენები და პატრონები; მეორეზე—1000 სალდათი და სამხედრო ბარგი. „სადომარუ“-ს დაჭერა დაევალა კრეისერს „როსსია“-ს, ხოლო „ხიტაჩუმარუ“-სა—„გრომობოი“-ს. „ხიტაჩუმარუ“ გაქცევას აპირებდა, თუმცა „გრომობოი“-დან ნიშანი მისცეს გაჩერებისა ‹ხალხის გადასხმისა. გაჩერდა და ნავები ჩაუშო მხოლოდ მაშინ, როდესაც „გრომობოი“-დან ყუმბარები ესროლეს. ტრანსპორტი ძალიან ნელა იძირებოდა, ამიტომ „გრომობოის“ ებძანა, დაეჩქარებინა გემის დაღუპვა, რაიცა კრეისერმა მალე აასრულა. ტრანსპორტ „სადომარუ“-ს, რომელსაც კრეისერი „როსსია“ გამოედევნა, რამდენჯერმე რომ ესროლეს, გაჩერდა და როცა სიგნალით მოსთხოვეს, ნავები ჩაუშვა. ნავები ცოტა ჰქონდა; ჩქარა უშვებდნენ და ზოგიერთი გადაბრუნდა. დანარჩენებში ბევრი ხალხი ჩასხდა და გაემართნენ კუნძულებ ტოუსიმასა და იკისიმოსკენ, რომელნიც შორიდან მოსჩანდნენ. დარი კარგი იყო და ზღვა დაწყნარებული. კრეისერ „რიურიკ“-ს ებძანა, აეყვანა აფიცრები, ჯარის კაცები და კამანდა, მაგრამ ყველა სამხედრო პირთაგან შესაძლებელი გახდა მიღება მხოლოდ 4 უცხოელისა, რომელნიც გემზე მსახურებდნენ, და 25 აფიცრისა; დანარჩენებმა არ დასტოვეს ტრანსპორტი; მაშინ კრეისერ „რიურიკს“ ებძანა, დაეღუპნა ტრანსპორტი ნაღმებით. პირველ აფეთქებისაგან გემი არ ჩაიძირა, ამიტომ ბძანება გასცეს, მეორე ნაღმიც მოეხვედრათ, რომლისაგანაც ტრანსპორტი ჩაიძირა. საქმე რომ დაასრულეს, საღამო ხანიც მოახლოვდა და კრეისერთა რაზმი გზას გაუდგა. სანარის სრუტესკენ რომ მიდიოდა, გზაში შეხვდა ინგლისის გემი „ალლანტონი“. ამ გემის დასათვალიერებლად გაგზავნილ აფიცერს შკიპერმა გამოუცხადა მურორანიდან სინგაპურში მივდივარ და 6,500 ტონა ქვა-ნახშირი მიმაქვსო. ჩვენება ჩამოართვეს კამანდას, განიხილეს ქაღალდები, შეამჩნიეს, რომ სავახტო ჟურნალი ურიგოდ იყო შედგენილი და, რადგან ამ გემს წინადაც სამხედრო კონტრაბანდა უზიდნია იაპონელთათვის, საეჭვოდ მიიჩნიეს, რომ ახლა სანეიტრალო საქონელი მოჰქონდა; ამიტომ ძალ-დატანებით გაჰგზავნეს გემი ვლადივოსტოკში და გააყოლეს კამანდა ლეიტენანტ პეტროვ მე-III-ის უფროსობით. ვლადივოსტოკის საზღვაო სასამართლო განიხილავს დაჭერილ გემის მოქმედებას. კრეისერთა რაზმს ამ გემის მეტი სხვა გემები აღარ დაუნახავს. გემზე აღმოჩნდა იაპონიის ერთი განათლებული ქვეშევრდომი, რომელიც არ ეკუთვნოდა გემის კამანდას“.

(დამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მანჯურიის ჯარის მთავარსარდალმა გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა საუბრის დროს უთხრა რამდენსამე გენერალს: ერთი იაპონელი ვეღარ დაბრუნდება მანჯურიიდან სამშობლოშიო. („ბ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე საინტერესო ცნობებს იუწყება პორტ-არტურის თაობაზე. გენერალი კუროპატკინი შარშან იყო შორეულ-აღმოსავლეთს, ყველა აქაური ციხე დიდის ყურადღებით დაათვალიერა, ზოგიერთი სიმაგრე და ფორტი თავის თვალწინ შეაცვლევინა და დარწმუნდა, რომ პორტ-არტური პირველ ხარისხოვანი ციხეა და იმის აღება შეუძლებელიაო. მცოდნე კაცები ამბობენ, პორტ-არტურს საჭმელი სურსათი მთელ წელიწადს ეყოფა, ფქვილი ხომ იმდენია, რომ წელიწად-ნახევარსაც ეყოფათო. ციხის გარშემო ფორტები და ბატარეები გორებზე ისეთნაირადაა აშენებული, რომ იმათი აღება სრულიად შეუძლებელია. ამ ჟამად პორტ-არტურში 40 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთ. რაც ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე ჯარი იდგა, სულ აქ შეჰკრიბეს. ამდენ ჯარს კარგად შეუძლიან ციხის დაცვა. პორტ-არტურის წინ 18 კილომეტრის მანძილზე სულ სიმაგრებია აშენებული; ასე რომ თითო კილომეტრს 2,500 ჯარის-კაცი დაიცავს, როდესაც ჩვეულებრივ, ციხის წინ თითო კილომეტრს 1000 ან 1,500 კაცი დგას ხოლმე; პორტ-არტურზე ვერც ღამე მიიტანენ იერიშს, რადგან მთელი ღამე პროჟექტორები ანათებენ ციხეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ იაპონელები ალყას შემოარტყამენ პორტ-არტურს და მეციხოვნე ჯარის დამშევას ეცდებიან. ამ დამშევას-კი ბევრი დრო დასჭირდება. („რ. ვ.“).

ინგლისური გაზეთები ამბობენ, რა წამს იაპონელები თავიანთ მეორე არმიას ზურგს გაუმაგრებენ და გენ. შტაკელბერგის რაზმს ჩრდილოეთისაკენ დაახევინებენ, მაშინვე იერიშს მიიტანენ პორტ-არტურზეო. იაპონიის საზღვაო აკადემიის წევრი გენერალი მასუი ამ დღეებში ნიუ-იორკში მივიდა და ამერიკულ გაზეთების თანამშრომლებს უთხრა, იაპონელები ამ ორ-კვირაში უთუოდ შტურმით აიღებენ პორტ-არტურსაო. („ნ. დ.“).

„ნეუ ფრეიე პრესე“ სწერს: მალე მანჯურიაში დიდი წვიმები დაიწყება. ამიტომ იაპონელები ეცდებიან, პორტ-არტური ამ წვიმებამდე აიღონ; გენ. კუროპატკინმა გენ. შტაკელბერგის რაზმიც ამიტომ გაგზავნა პორტ-არტურის საშველად. რუსებსაც და იაპონელებსაც კარგად ესმით, რომ პორტ-არტურს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს...

„ფრემდენბლატ“-ი ჰფიქრობს, იქნება პორტ-არტურის ბედი ამ ორ კვირაში გადასწყდესო. („პ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: მაისის გასულს იაპონიის ესკადრამ ზარბაზანი დაუშინა გაიჩინგს და რკინის გზა დაანგრია. ასე რომ გენ. კუროპატკინი მაშველ ჯარს ვეღარ გაუგზავნის გენ. შტაკელბერგსაო. („რ. ლ.“).

სეულიდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: გენერალმა კუროკიმ ჯარი გაგზავნა მატენლინგის უღელტეხილისაკენაო; უნდა, რომ ლიაოიანს სამხრეთიდანა და დასავლეთიდან დაეცესო. გენ. კუროკის ამ ბოლოს დროს 20 ათასი ახალი ჯარის-კაცი მოუვიდა იაპონიიდანაო. („რ. ლ.“).

ანგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ იაპონიიდან: იაპონელები დიდ-ძალ ახალ ჯარს ამზადებენ მანჯურიაში გასაგზავნად; სათადარიგო და სარეზერვო ჯარის-კაცები ყველა მხრიდან მიდიან და დანიშნულ ადგილებში იკრიბებიან. („ნ. დ.“).

გაზ. „მატენ“-ის თანამშრომელს გამოჩენილ ფრანგ ადმირალებისათვის უკითხავს,

გაიგზავნება ბალტიის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთს და თუ გაიგზავნება რა გზით წავაო. ადმირალებს გადაჭრით უარი უთქვამთ კორესპონდენტისათვის: ვერაფერს ვერ გეტყვით მაგაზე, მით უმეტეს, რომ რუსის ფლოტი ეხლა განსაკუთრებულ ყოფაშიაო. („რ. ლ.").

ერთ იაპონელ გამოჩენილ სახელმწიფო კაცს ტოკიოში უთქვამს „სტანდარდ"-ის თანამშრომლისათვის: „რუსეთში ეგონათ, პირველი—იაპონელებს ეშინიათ რუსებისაო, მეორე—იაპონელი ბრძოლის დროს ვერას გახდება რუსის სალდათთანაო და მესამე—იაპონია უფულობით დიდ-ხანს ვერ შესძლებს ომსაო. პირველი ორი ფიქრი ხომ გაუცრუვდათ კიდეც, რუსეთში მალე დარწმუნდებიან, რომ მესამე ფიქრიც შემცდარი ყოფილაო. („ნ. დ.")

ინგლისური გაზეთ „სტანდარდ"-ი სწერს: რუსულ ოფიციალურ ცნობების თანახმად, ომის დაწყების დღიდან 26 მაისამდე რუსებს შემდეგი ზარალი მოუვიდათ: მოუკლეს—44 მეზღვაური აფიცერი, 920 მატროსი, 36 ჯარის აფიცერი და 920 სალდათი. დაუჭრეს: 13 მეზღვაური აფიცერი, 1,020 მატროსი, 103 ჯარის აფიცერი და 2,080 სალდათი; ტყვედ წაიყვანეს—20 აფიცერი და 700 სალდათი. („რ. ლ.").

„სტანდარდ"-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. ლინევიჩი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეისაკენ გალაშქრებას აპირობსო. („ნ. დ.").

სეულიდან ატყობინებენ „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ს: რუსის ყაზახების რაზმი იონბენში (ჩრდილოეთ კორეიაში) მოვიდა და აქედან სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ მზვერავები გაგზავნაო. ერთი დიდი რაზმი მდ. იალუს გადავიდა და მანჯურიაში შევიდაო. („რ. ლ.").

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ხამხინიდან (ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიდან) გენზანში ერთი კორეიელი მოვიდა და ამბავი მოიტანა, რუსებმა რამდენსამე ადგილას ტელეგრაფის სადგურები და აპარატები დაანგრიეს და მავთულები გასწყვიტესო. იაპონელებმა გენზანის მცხოვრებლებს იარაღი დაურიგეს, რომ რუსების მოგერება შეიძლონ. კორეელები ამბობენ, გენზანის ჩრდილოეთით ყველგან რუსის მზვერავები დაძრწიანო. რუსის უმთავრესი რაზმები-კი კიონსიონსა და სენჩენში დგანან და, თუ ვინიცობაა იაპონელები ვლადივოსტოკს ახლო ჯარს გადაიყვანენ, რუსის რაზმები მდინარე ტუმენისაკენ დაიხევენ. („რ. ვ.").

ინგლისურ პრესის აზრი ეხლანდელ ომზე. „ნოვოსტ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: ყველანი აღმოსავლეთისაკენ იცქირებიან. ყველას ესმის, რომ კვანტუნის ნახევარ-კუნძულზე დიდი ამბები ხდება, რომ პორტ-არტურთან მარტო ორი ჯარი-კი არა, ორი ერი, ორი პოლიტიკური წესი (სისტემა) ებრძვის ერთმანეთს. ყველა ატყობს, რომ რუსებიცა და იაპონელებიც ფრთხილად. აუჩქარებლად იქცევიან. ყველა დარწმუნებულია, რომ მალე მეტად დიდი ამბები მოხდება შორეულ-აღმოსავლეთში. „დეილი ტელეგრაფ"-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, იაპონელები ივნისის დამდეგს უთუოდ იერიშს მიიტანენ პორტ-არტურის წინა ფორტებზეო. ლიბერალური გაზ. „დეილი ნიუს"-ი და კონსერვატიული „მორნინგ პოსტ"-ი ამბობენ, პორტ-არტურის დღე დათვლილია, იაპონელები მალე აიღებენ ამ ციხესაო. „დეილი ნიუს"-ი ეხლავე რჩევას იძლევა, კარგი იქნება ინგლისმა ამ შემთხვევით ისარგებლოს და ჩინეთისაგან იჯარით აღებულ ვეიხაივეიზე ხელი აიღოსო ჩინეთთან დადებულ პირობის ძალით, რამწამს რუსები პორტ არტურზე ხელს აიღებენ, ინგლისმაც ხელი უნდა აიღოს ვეიხაივეიზე. ამიტომ რამწამს იაპონელები პორტ-არტურს დაიჭერენ, ჩვენც დაუნანებლად უნდა მივატოვოთ ვეიხავეი, მით უმეტეს რომ ამ ნავთსადგურს არაფერი სარგებლობა არ მოუტანია ინგლისისთვისაო.

კონსერვატიული „მორნინგ პოსტ"-ი სწერს: ეჭვი არაა, იაპონია დიდ როლს ითამაშებს მომავალში. დიდ ოკეანეს ნაპირებზე იაპონია და ჩრდილოეთი ამერიკა გაბატონდებიან. ეხლანდელი ომი ძველ პატარა საბერძნეთისა და ვეება სპარსეთის იმპერიის ომსა ჰგავს, ეხლანდელი ბრძოლა მაშინდელ მარათონთანა და სალამინთან მომხდარ დიდებულ ბრძოლას მოგვაგონებს. ამიტომ ინგლისი უსათუოდ უნდა დაუმეგობრდეს იაპონიასა და ჩრდილოეთ-ამერიკას. ინგლისი ეხლავე ბეჯითად უნდა შეუდგეს იაპონიისა და იმის ხალხის გაცნობას. არ გვესმის, ჩვენმა მთავრობამ ინგლისის უნივერსიტეტებში აქამდე რატომ არ დააარსა ჩვენის მოკავშირე იაპონიის ისტორიისა და ენის კათედრები. ეხლანდელ ომს დიდი ცვლილება მოჰყვება საერთაშორისო ურთიერთობაში, ამიტომ კარგი იქმნება, რომ ჩვენს ახალგაზრდობას უნივერსიტეტებში იაპონიის ენისა და ისტორიის შესწავლა შეეძლოს. ამ კათედრების დაარსება უფრო განამტკიცებს იაპონიისა და ინგლისის მეგობრობასაო.

კონსერვატიული „სტანდარდ"-ი უფრო თავდაჭერით სწერს: იაპონელებს ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვთ გასარიგებელი. როცა პორტ-არტურს აიღებენ და გენ. კუროპატკინს დაამარცხებენ, პორტ-არტურისა და მანჯურიის ბედზეც მაშინ ვილაპარაკოთო. („ნ.").

ახალი ამბავი

◆ 15—20 სექტემბერს მოხდება გამოცდა და შემოწმება **სათადარიგო ჯარის-კაცებისა.** ამ დღეებში გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსებს განკარგულება მოახდინონ, რომ ამდროსთვის შეგროვდეს სათადარიგო ჯარი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან **ციმბირის გზაზე** ძლიერ ბევრ მოსამსახურეს ჰგზავნიან: მემანქანეებს, კონდუქტორებს, მეისრეებს, სადგურის უფროსებს და იმათ თანაშემწეებს.

◆ 5 ივნისს ლანჩხუთში, როგორც ბათუმელი გაზეთი გადმოგვცემს, **მოუკლავთ** ადგილობრივი მამასახლისი ირაკლი მენაღარიშვილი.

◆ მოგვყავს შემდეგი ცნობები **ქართულ სახალხო თეატრის** მოქმედების შესახებ გასულ სეზონში: წარმოდგენები, როგორც წინადაც, იმართებოდა „ავჭალის აუდიტორიასა" და სიფხიზლის საზოგადოების რკინის გზის განყოფილების თეატრში. სულ გაიმართა 32 წარმოდგენა და ერთიც საბავშო (უფასო); ამ რიცხვიდან 18 წარმოდგენა ავჭალის აუდიტორიაში იყო, ხოლო 14 სიფხიზლის საზოგადოების თეატრში. წარმოუდგენიათ სულ 20 პიესა, რომლებიდან 8 ახალი და 12 ძველია; პირველად სახალხო თეატრში შემდეგი დაუდგამთ: „მელანიას ოინები", გადმოკ. კ. მესხას-მიერ; „დედის ერთა", ვოდევ. ვ. გუნიასი; „მათიკო", ა. ცაგარლისა; „ტარტიუფი", მოლიერისა; „ექიმი შტოკმანი", იბსენისა; „ცხოვრების გარეშე", პროტოპოპოვისა; „ადვოკატთან", ვ. გუნიასი და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია". წარმოდგენების შემდეგ ოთხჯერ გაუმართავთ საკონცერტო და სალიტერატურო დივერტისმენტი სეზონის ყველა წარმოდგენებს დასწრებია სულ 8650 კაცი, ორთა შუა რიცხვით თითო წარმოდგენაზე ყოფილა 270 კაცი. ხოლო მოთამაშე ყოფილა 65 კაცი, ამათგან 17 არტისტი და 48—სცენის მოყვარული. ყველა წარმოდგენიდან სექციას შემოსვლია 997 მან. 5 კაპ.; წინა წლიდან კასსაში ჰქონია 281 მან. 58 კაპ.; სეზონის განმავლობაში გასავალი ჰქონია 1012 მან. 28 კაპ. გარდა წარმოდგენებისა, ქართულ სექციის მეცადინეობით, გასულ სეზონში ქართული სახალხო კითხვებიც გამართეს; კითხულობდნენ ექიმები საექიმო საკითხების შესახებ (ჭლექისა, ყვავილისა, თვალის ავადმყოფობისა, ქუნთრუშისა და სხვ. ამგვარის შესახებ); სულ წაუკითხავთ 11 სახალხო ლექცია ექიმებს: ვ. მუსხელაშვილს (3), ალ. დიასამიძეს (3), ალ. მაღალაშვილს (2), გ. გაბაშვილს, ს. ვაწაძეს და ვ. ღამბაშიძეს (თითო ჯერ).

◆ **კავკავი.** 4 ივნისს, ღამე, კავკავიდან ათ-თორმეტ ვერსის მოშორებით ბოროტმოქმედთ აეყარათ რკინის გზის რელსები. ღამის 3 საათზე როსტოვიდან მომავალმა მატარებელმა ეს ვერ შეამჩნია და ლიანდაგს გადასცდა. ვაგონები და ორთქლ-მავალი დაიმსხვრა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა; ავაზაკებმა, 40 კაცამდე, სეტყვასავით დააყარეს თოფები ფოსტის ვაგონს. დარაჯმა, რომელიც ფოსტის ვაგონში იყო, რამდენჯერმე ესროლა ავაზაკებს. ჩქარა გზის ყარაულებიც მოეშველნენ და ავაზაკები გაიქცნენ ისე, რომ ვერა წაიღეს რა.

◆ 8 ივნისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება ხმოს. ნ. ი. თამამშევისა **საკუთარ სტამბის დაარსების** საჭიროების შესახებ. გამგეობამ მდივანს სტ. თ. ქრელაშვილს დაავალა, დააჩქაროს ამ საქმის შესახებ მოხსენების შედგენა.

◆ თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწე ფურცელაძე დაინიშნა ახალქალაქის მაზრის პირველ ნაწილის **მომრიგებელ შუამავლად.** ამ ნაწილის მომრიგებელი შუამავალი თავ. დ. ჭავჭავაძე გადაიყვანეს თიანეთის მაზრის მეორე ნაწილში, რომლის წინანდელმა შუამავალმაც თავ. მუხრან-ბატონმა თანამდებობას თავი დაანება.

◆ რვა ივნისს განსაკუთრებულის ვაგონით **მცხეთას წავიდნენ** ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის მოსწავლენი, რიცხვით 50 სული. ქალებმა დაათვალიერეს სვეტი-ცხოველი, დედათა მონასტერი და საღამოთი დაბრუნდნენ.

◆ იმ ყმაწვილ კაცთ, რომელნიც უმაღლესს **სასწავლებლებში შესვლას** აპირებენ და რომელნიც ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოებას ეკუთვნიან, სჭირდებათ მოქალაქეთა გამგეობის მოწმობანი. ეს მოწმობანი მოსწავლეთ ეძლევათ რწმუნებულების კრების თანხმობით. ყაწვილ კაცებს ყოველთვის უჭირდებათ ამ მოწმობების აღება, რადგან რწმუნებულნი არ იკრიბებიან ხოლმე. გუშინ მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა საშუალო სასწავლებლების დირექტორებს გამოუცხადონ კურს დასრულებულ მოწაფეთ, რომ მოწმობების მისაღები თხოვნები მალე წარუდგინონ გამგეობას.

◆ ამიერ-კავკასიაში **საქონლის ჭირთან** საბრძოლველად და სოფლის ბეითალთა შესანახად საერო თანხიდან გადაიდო 37,105 მან. ამ თანხიდანვე უნდა დააკმაყოფილონ ისინი, ვისაც ჭირიან საქონელს დაუხოცავენ.

◆ ტფილისის მოქალაქეებზე **სახელმწიფო გადასახადების** დარჩენილი ფული 1896—97 წლების არის 35,000 მან. გუბერნატორმა რამდენჯერმე დაავალა მოქალაქეთა გამგეობას, მოეკრიბნა ეს ფული, მაგრამ გამგეობამ ვერ მოკრიბა, სხვათა შორის, მოქალაქეთა სიღარიბის გამო. ეხლა მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს, უშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, ნება მიეცეს საზოგადოებას დარჩენილი ფული ნაწილ-ნაწილ შეიტანოს ხაზინაში.

◆ **ტფილისის მოქალაქეთა** გამგეობის გამოანგარიშებით, ამ გამგეობის დაარსებიდან დღემდე ტფილისელ მოქალაქეებზე დარჩენილია სხვა-და-სხვა გადასახადისა 200,000 მანეთი.

◆ სამშაბათს, 8 ივნისს, ქალაქის საბჭოს ზოგიერთ ხმოსნებისა და გამგეობის წევრთა თანადასწრებით, სხდომა ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **ახალის საყასპოს აშენების საქმე.** ამისათვის, როგორც მკითხველებმაც იციან, ქალაქს გამოცემული აქვს 800,000 მანეთის მესამე საობლიგაციო სესხი. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1896 წელს აღიძრა და შემუშავდა ახალ საყასპოს ასაგებად ორი პროექტი. ერთით სჭირდებოდა საყასპოს აგებას 180,000 მან. და მეორეთი—300,000 მან. არც ერთი პროექტი არ გამოდგა და მაშინ

ფელეტონი

წერილი პეტერბურგიდან

ომი და ნევის პროსპექტი.—ქალების ტანისამოსი.—დეპეშების დამტარებელნი.—სახალხო თეატრი და ახალი პიესა „ბრძოლა იაპონიისა რუსეთთან".

დიდ პატრიოტულ მანიფესტაციების შემდეგ ნევის პროსპექტი პეტერბურგში ომის ცოცხალ გაზეთად გადაიქცა. ურიცხვი ხალხი, რომელიც ამ პროსპექტზე დასეირნობს, თავისუფლად და ხმა მაღლა მსჯელობს რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. კაცებთან ერთად საქმეში ქალებიც დიდ მონაწილეობას იღებენ. შეხვდებით ისეთ მანდილოსანს, რომელიც გაცხარებული ებრძვის თანამგზავრს და უმტკიცებს, რომ იაპონური ცეკვა მოსაწონი არ არის, „გეიშა" არ ვარგა, იაპონელ ქალებს ელამი თვალები აქვთო და სხვ. ამგვარი ქალები ტანსაცმელითაც განირჩევიან: ატარებენ მეზღვაურთა მოსასხამს და ქუდს, ქუდზე ან „ვარიაგ"-ისა, ან „კორეეც"-ისა ან „პობედა"-სი ან კიდევ სხვა რომელისამე გემის სახელი აწერია. რადგან ომი ყველას ასე აინტერესებს, ნევის პროსპექტის მემაღაზიეები ყოველ საშუალებას ხმარობენ, ისეთი რამე გამოჰკიდონ მაღაზიებში, რაც გამვლელის ცნობის მოყვარეობას დააკმაყოფილებს. ამისათვის ხშირად შე[illegible] ამისთანა მაღაზიებს, სადაც გამოკრულია შორეულ-აღმოსავლეთის რუკა, ომის კარიკატურები, წიგნები იაპონიის შესახებ და სხვ.

გამვლელის უმთავრეს ყურადღებას იქცევს დეპეშების გამყიდველნი. თუმცა ყოველ მესამე სახლზე გამოკრულია „პრავიტელსტვენი ვესტნიკ"-ის დეპეშები, მაგრამ რადგან ბევრი ხალხი გროვდება, იმისათვის გაზეთების დეპეშები ძლიერ ბევრი იყიდება. დეპეშებს ყველა აქაური გაზეთი ჰბეჭდავს დიდ ფურცლებზე და ისეთ მსხვილ ასოებით, რომ გამვლელს შვიდ-რვა ნაბიჯიდან შეუძლიან გაარჩიოს ყველაფერი. დეპეშები დღეში ორჯერ იბეჭდება და, როგორც ვსთქვით, ძლიერ ბევრიც იყიდება. უბრალო მეეზოვესა და მეეტლიდან დაწყებული დიდ არისტოკრატამდე (რომელიც ნევის პროსპექტზე ფეხით სეირნობას კადრულობს) ყველა გაცხარებული კითხულობს დეპეშებს. გამყიდველნი, რაც ძალა და ღონე აქვთ, დარბიან ქუჩაში და ჰყვირიან დეპეშების მოკლე შინაარსს. ბევრ უცნაურ ახალ ამბავს გაიგონებთ იმათგან, მაგრამ იყიდი თუ არა დეპეშას, დარწმუნდები, რომ ნათქვამი თუ მთლად არა, ნახევარი მაინც სიცრუე იყო. ხშირად დეპეშის გამყიდველი მოგდევთ უკან და მოგძახით: „წაიძირა იაპონიის 25 გემი", „დაიღუპა იაპონელთა ჯავშნიანი გემი", „ცინჯოუსთან მოკვდა 15,000 იაპონელი" და სხვ. დილით და საღამოობით ნევის პროსპექტი საინტერესო სურათს წარმოადგენს: მოსეირნეთა ნახევარზე მეტს ხელში დეპეშები უჭირავს, მიდის და თან კითხულობს. ხშირად გაგიქროლდებთ ეტლი და მოჰკრავთ თვალს, რომ შიგ მჯდომი არც იქით იყურება, არც აქეთ და მხოლოდ დეპეშებს ჩაჰკირკიტებს. შეხვდებით მეეზოვეს, მეეტლეს, შვეიცარს და მრავალ ამ გვარებს, რომელიც დიდის ინტერესით ათვალიერებს დეპეშებს.

ნევის პროსპექტს გარდა ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზოოლოგიური ბაღი და სახალხო თეატრი იმპერატორის ნიკოლოზის მეორისა. ეს ერთი თვეა, რაც ზოოლოგიურ ბაღის სცენაზე სდგამენ ფეერია-ბალეტს „ბრძოლა იაპონიისა რუსეთთან".

აი სრული სათაური, რაც ამ პიესას აწერია ხოლმე აფიშაზე: „პატრიოტული წარმოდგენა. უკანასკნელი ამბები შორეულ აღმოსავლეთში. ფეერია 17 სურათად ბრწყინვალე აპოთეოზით—„მშვიდობა ქვეყანაზე", ცოცხალის ბატალიურის სურათებით, მკვლელობებით, ხმელეთისა და ზღვის ბრძოლებით, სიმღერებით, კუპლეტებით, დიდის ბალეტით და დიდებულის მოწყობილობით", შედგენილი რეჟისორის ს. ტრეფილოვის მიერ.

წარმოდგენა 17 სურათისაგან შესდგება, განიყოფება ორ დიდ ნაწილად და თავდება აპოთეოზით. ამ წარმოდგენის დეკორაციები, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ქართულ თეატრის მეტი არა უნახავს-რა, გასაკვირალი რამ არის· დეკორაციები მაყურებლის წინ ფარდის ჩამოუშვებლად თვალის დახამხამებაზე იცვლება. სცენაზე გაივლის ხალხით სავსე მატარებელი, რომელიც თითქმის არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივ მატარებლისაგან, სცენაზე იღუპება ვეებერთელა გემი თავის ზარბაზნებით, ნელ-ნელა იძირება ზვირთებში და რამდენისამე ხნის შემდეგ სულ იმალება წყალში. სცენაზე ისვრიან ზარბაზნებს, თოფებს, დადიან ცხენებით და სხვ.

პირველი სურათი ამ წარმოდგენისა სწარმოებს რუსის გლეხის ქოხში, სადაც ქორწილის გამო გაცხარებული ლხინ-მეჯლიშია. საერთო მხიარულების დროს, როდესაც ზოგიერთი სტუმრები ყირიმის ომს იგონებენ, შემოდის სოფლის სტაროსტა და მექორწილეებს შორეულ-აღმოსავლეთის ომის მანიფესტს უკითხავს. თან დასძენს, რომ ჩვენ მაზრაში მობილიზაციაა გამოცხადებული და ეხლავე მომზადეთ ვისაც რიგი გიდგათო. ხალხი შეჰყვირებს, ჩვენ არ გვეშინია მობილიზაცია, ჩვენ თვითონ წავალთ ყველანი და უჩვენებთ იაპონელებს, რომ რუსეთი გმირების ქვეყანაა. აქ დეკორაცია უცბად იცვლება და ქოხის მაგიერ მაყურებლის თვალ-წინ პეტერბურგის ერთი მოედანი გამოჩნდება, რომელზედაც კიდევაც შეკრებილა მეომართა რაზმი შორეულ-აღმოსავლეთში გასამგზავრებლად. შემოდის ცხენოსანი [illegible] და ცხენიდან [illegible]

ქალაქის საბჭომ პროექტის შემუშავება მიანდო ტაგანროგის კაპიტალისტთა ერთ წარმომადგენელს, ინჟენერს ა. ბ. საგსაგანსკის, რომელმაც 8 ივნისს კომისიას წარუდგინა მოხსენება ვრცელის განმარტებით, თუ როგორი სისტემის საყასპო უკეთესი იქნება ქალაქისათვის. მომხსენებლის აზრით, უნდა აშენდეს ერთი დიდი დარბაზი, სადაც შეიძლება ყოველ დღე 450 სხვილ საქონლისა, 1500 წვრილი პირუტყვისა და 400 ღორის დაკვლა. დარბაზის აგებას, მომხსენებლის გამოანგარიშებით, დასჭირდება 190,000 მან., ხორცის საყინულეს ასაგებად 250,000 მან. და სხვა, სულ 500,000 მან. ინჟინერი საგსაგანსკი, როგორც წარმომადგენელი, თანახმაა იკისროს საყასპოს აგების საქმე ქალაქისათვის იმ შეღავათიანის პირობით, რომ იგი ფულის ნაცვლად მიიღებს მესამე საობლიგაციო სესხის ობლიგაციებს. ვრცელის პროექტის განხილვა კომისიამ ერთ საღამოს ვეღარ მოასწრო და გადასდვა შემდეგი სხდომისათვის.

◆ ტფილისის ქალაქის ტეხნიკოსმა და ბოქაულმა ზედგინიძემ დაათვალიერეს ვაგზლის ქუჩაზე ქალაქის გამგეობის წევრის ტ. ა. ენფიაჯიანცის სახლი. სახლის კედლები და იატაკი ისე დაზიანებული ყოფილა, რომ საშიშოა თურმე იქ ცხოვრება. ტეხნიკოსმა სთხოვა გამგეობას, ამ სახლში ცხოვრების ნებას არავის მისცეს, ვიდრე პატრონი არ შეაკეთებს.

◆ 8 ივნისს კერძო სხდომა ჰქონდათ ხმოსნებს ქალაქის ხორცის გამო მოსალაპარაკებლად. განიხილეს კომისიის თავმჯდომარის ევანგულოვის მოხსენება როგორ მოეწყოს საქმე, თუ ვინიცობაა ხარისხები და ნიხრი მოისპო. ხმოსანთა შორის კამათმა მთელი საღამოს გასტანა. კრებამ სურვილი გამოსთქვა, ხორცი ორ ხარისხად გაიყოს და ისე გაიყიდოს ხოლმეო.

◆ 8 ივნისს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში შემნახველ კასის განყოფილების გამგეს ზ. გ. ასლანოვს მთელი დღის შემოსავალი, 1914 მ. 75 კაპ. კონვერტში ჩაუდვია, კანტორის მოსამსახურის ვლადიმირ სარჩიმელიასთვის გადაუცია და უთქვამს, საკუჭნაოში წამოიღეო. როდესაც კრედორში გასულან, სარჩიმელიას უთქვამს, ამ სათში გიახლებით, ბატონო, და შესულა იქვე თახში. ასლანოვს ეჭვი შეჰპარია და შესდგომია სარჩიმელიას ძებნას. სხვათა შორის, ჩასულა იმის ოთახში, სადაც უნახავს დახეული კონვერტი. ამის დანახვაზე ასლანოვს იქვე გული წასვლია. იმ წამსვე შესდგომიან სარჩიმელიას ძებნას, მაგრამ ვერსად უპოვნიათ.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობის განკარგულებით, საზაფხულოდ, დროებით ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გაიხსნა მოაგარაკეთათვის დაბა კოჯორსა და ერევნის გუბერნიის სოფელ დარაჩიჩაგში.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქალთა სასწავლებლის მოსწავლენი გაჰყვეს ორ ნაწილად, ერთი ნაწილი 2 ივნისს წაიყვანეს ბათუმს და ჩაქვას და დაბრუნდნენ ხუთს, მეორე ნაწილი წავიდა იქვე 7 ივნისს და დაბრუნდება ათს.

◆ სამშაბათს, 8 ივნისს, სხდომა ჰქონდა ტფილისის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ერევნის მოედნიდან გოგირდის აბანოებამდე ერთის დიდისა და ფართე ქუჩის გაყვანა. კომისიამ გაიცნო ამ საგნის შესახებ გამგეობის წევრის, ტ. ა. ენფიანჯიანცის მიერ შემუშავებული მოხსენება. მოხსენებაში დაწვრილებით არის აღნიშნული ყველა ის სახლის პატრონები, რომელთა ადგილებიც უნდა იქმნეს შესყიდული, ზედ აგებული სახლები დაანგრიონ და ქუჩა ისე გაიყვანოს ქალაქმა. კომისიამ დაადგინა, ამ საქმის შესახებ მასალა დაიბეჭდოს, წარედგინოს საბჭოს განსახილველად და ეთხოვოს შუამდგომლობის აღძვრა კერძო ადგილების ჩამოსართმევლად ქუჩის გასაყვანად.

◆ 7 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზედ, მახათის გორაზე შემთხვევით გაუვლია ერთ სამხედრო წოდების კაცს და თხრილში დაუნახავს მოკლული კაცის გვამი. მოკლულს ორი ჭრილობა აღმოაჩნდა რაღაც ბასრი იარაღით. მოკლული აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრები, გვარად მატეოსოვი, რომელიც ნოვობაიაზეთის პოლკის სალდათად ყოფილა.

◆ რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ბევრ ადგილას თაღიანი ხიდებია, გზის მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ იმ კონდუქტორებმა, რომელნიც ვაგონების თავებზე ტორმოზის ბუდკებში სხედან, არ გამოჰყონ ხოლმე თავი ხიდზე გასვლის დროს. ამ ბოლო დროს რამდენიმე ისეთი შემთხვევა იყო, რომ კონდუქტორები დაზავდნენ.

◆ 7 ივნისს, ღამე, გაქურდეს ქალაქის ხორცის დუქანი მეტეხის ციხის ასავალში. წაუღიათ 24 მან. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს იქვე მყოფ მუშებზე, რაჭის მაზრის მცხოვრებ იასონ გოცირიძესა და სენაკის მაზრის—სამსონ კუპრავაზე, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

◆ **ბარგუშეტი.** 7 ივნისს, როდესაც მატარებელ № 21, რომლითაც რუსეთიდან გადმოსახლებულნი მიდიოდნენ, მიუახლოვდა მწვანე დისკას, უცბად გადმოვარდა და ვაგონებს ქვეშ მოჰყვა 14 წლის ტატიანა ნადზენკო. რომელსაც მარჯვენა ფეხი მოსწყდა. დაშავებული აჯიქაბულის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **შორაპანი.** 7 ივნისს, დილის 7 საათზე, ვაგონების გადაბმის დროს მეისრემ ვლადიმერ კვინიკაძემ მარცხენა ხელი დაიშავა. დაშავებული ქუთაისის საავადმყოფოში გაგზავნეს.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიან დამატების მე-226 №, რომელშიაც დაბეჭდილია: „მხოლოდ ნაღველი სამუდამოა", ლექსი ი. ევდოშვილისა; „სილონი ლოდიაში", ფილოსოფ. ამბავი თარგ. ტატო—ძესი. სურათები „წარსულიდან" კორსაკისა; ოთხი სურათი იაპონელთა ცხოვრებიდან (საკუთ. კორესპონდენტისაგან) და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ როგორც ანგარიშიდანა სჩანს, 1902/3 სამოსწავლო წლის დამლევს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ირიცხებოდა 507 მოწაფე, რომელთაგან 245 იყო მოსამზადებელს, ხოლო 262 პროგიმნაზიულს კლასებში. მაისის ეგზამენებისათვის დარჩენილა 484 მოწაფე. პროგიმნაზიის ოთხი კლასის კურსი შეუსრულებია 33 მოწაფეს (წლის განმავლობაში ყოფილა მეოთხე კლასში 37 მოწაფე). ამათგან ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შესულა 5 მოწაფე— მეხუთე კლასში; ბაქოს სავაჭრო გიმნაზიის მეოთხე კლასში 1 მოწაფე და ერთიც ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში; ამგვარად 33 მოწაფიდან მხოლოდ შვიდს მოუხერხებია სწავლის გაგრძელება, დანარჩენები კი ან იმავე მეოთხე კლასს დაბრუნებიან იმ იმედით, რომ მომავალ წელში გაიხსნება მეხუთე პროგიმნაზიული კლასიო, ან სხვა-და-სხვა დაწესებულებებში შესულან მწერლებად და სხვა წვრილმან მოსამსახურედ, ან სულ უსაქმოდ დადიან.

◆ წლის დამლევს ქუთაისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის მეექვსე კლასში ირიცხებოდა 14 ქალი. ამათგან წლის განმავლობაში დაეთხოვათ 8 მოწაფე; დანარჩენ ექვსი მოწაფიდან ორი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ეგზამენებს, ასე რომ—ეგზამენს იჭერდა მხოლოდ 4 მოწაფე, რომელთაც გაათავეს სასწავლებელი. ესენი არიან: ეკ. ყიფშიძე, ნადეჟდა კუჭაიძე, ანნა კობახიძე და ნინო ხუნდაძე.

◆ კვირას, 6 ივნისს, ქ-ნ სმაგინის თაოსნობით, ქალაქის ბაღში გაიმართა სეირნობა, რომლის შემოსავლიდან ნახევარი უნდა გადადებულიყო წითელის ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ. ცუდი ამინდის გამო— ძლიერი ქარი ჰქროდა—სეირნობას საზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო, ასე რომ— შემოსავალი ხარჯს ძლივს დაფარავდა.

რუსეთის ქრონიკა

—

◆ პეტერბურგში შესდგა ახალი საზოგადოება, რომელსაც განუზრახავს გამართოს თავის წევრთათვის ჰიგიენურად მოწყობილი კარგი სახლები. ამგვარი საზოგადოებანი კარგა ხანია, რაც არსებობენ და ნაყოფიერად მოქმედებენ ევროპაში. პეტერბურგის ახალი საზოგადოების დაარსება გამოწვეულია სადგომის სიძვირითა და მოუწყობლობით.

◆ განსაკუთრებულად დანიშნულ კომისიას დაუვლია პეტერბურგში ღარიბთა ბინები და ბევრ სახლში უნახავს საშინელი სიბინძურე და გულის ამრევი სიღარიბე. ბევრ მცხოვრებლებს იქვე თავის სადგომებში სალორეები ჰქონიათ, სადაც ღორებს ინახავენ თურმე.

◆ პეტერბურგიდან ორან იენბაუმს მიმავალ რკინის გზაზე განუზრახავთ ორთქლ-მავალთა მაგიერ ელექტრონის ძალით მიმოსვლა გამართონ.

◆ ელისავეტგრადის სასამართლოს განუხილავს საქმე გლეხ დიმიტრიევის შესახებ, რომელსაც მურის საძიებლად სახლისათვის ცეცხლის წაკიდება ჰბრალდებოდა. დიმიტრიევს უკანონო ცოლი ჰყოლია, რომელთანაც 14 წელიწადი სცხოვრობდა და იმის სახელზე ქალაქის ახლობლად სახლი უყიდნია. ქალი ძლიერ სტანჯავდა თურმე თავის ქმარს, ხშირად სცემდა და ეჩხუბებოდა უმიზეზოდ, ბოლოს გაუგდია კიდევაც ქმარი სახლიდან. დიმიტრიევმა ვერ გაუძლო ამდენ წვალებას და ცეცხლი წაუკიდა და დასწვა ცოლისათვის ნაჩუქარი სახლი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ოთხის წლის კატორღაში გაგზავნა მიუსაჯა დიმიტრიევს. სასამართლოს გადაწყვეტილებამ გააოცა და ააღელვა დამსწრე საზოგადოება, რადგან ყველამ კარგად გაიგო, რომ უკიდურესმა გაჭირვებამ ჩაადენინა ბრალდებულს მისი დანაშაული. ნაფიც მსაჯულებს მკაცრი გადაწყვეტილების შემდეგ ორი დღე სტანჯავდა სვინდისი და შემდეგ მიუმართავთ სასამართლოსთვის თხოვნით: იშუამდგომლეთ, რომ დამნაშავე დიმიტრიევი სრულებით გაანთავისუფლონ სასჯელისაგანაო.

სასამართლო

—

ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ მიიღო განსახილველად საქმე ალექსანდროპოლის მაზრის მცხოვრების ივანე ასლამაზოვისა, რომელსაც ჰბრალდება თავის შვილის „მსხვერპლად შეწირვა" და იმისთვის ყელის გამოჭრა. ბრალდებულს უთქვამს შემდეგი: შარშან გამომეცხადა წმინდა ნიკოლოზი და იოანე და წამიყვანეს იესო ქრისტესთან. ქრისტემ მითხრა, ავადმყოფობისაგან განიკურნები (ასლამაზოვი ავად ყოფილა), თუ აღთქმას დასდებ, რომ მსხვერპლად შესწირავ ღმერთს შენს შვილს, რომელიც ამ ცოტას ხანში მოგეცემაო. ასლამაზოვს უთქვამს, აღთქმა დავდე და ავადმყოფობისაგან მართლაც განვთავისუფლდიო. რამდენისამე ხნის შემდეგ ასლამაზოვის ცოლს გასჩენია შვილი. შარშან, აღდგომის წინა დღეებში, ასლამაზოვს კიდევ გამოსცხადებია წმ. ნიკოლოზი და უთქვამს, აღთქმა უნდა შეასრულოო. ასლამაზოვს წაუყვანია თავისი ერთად-ერთი შვილი და ეკლესიის წინ ქვაფენილზე დანით ყელი გამოუჭრია. შემდეგ ეკლესიაში შესულა და მლოცველებისათვის გამოუცხადებია, ეს არის ეხლა ჩემი შვილი დავკალი და ღმერთს მსხვერპლად შევწირეო. ბრალდებული მიხეილის სამკურნალოს სულით ავადმყოფთა თავშესაფარში მოთავსებული იმის სულიერ მდგომარეობის გამოსარკვევად. ამ საქმეს სასამართლო განიხილავს ახლო მომავალში.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

—

სოხუმი. ომმა სოხუმზედაც იმოქმედა. აღებ-მიცემობა თან და თან ეცემა. ყველაზე მეტად მამულის პატრონნი და ვაჭარნი არიან შეშინებულნი. ჯერ-ჯერობით ათ დუქანზედ მეტია მიკეტილი. ამათ გარდა რამდენი მიწის გამყიდავი (კამისიონერი) ჩარჩია პირ დამშრალი. წინათ თუ ათასობით ილაგებდა ჯიბეში, ეხლა იქ თაგვები ბუდობენ. სხვა დაწესებულებათა საქმეც ამნაირ მდგომარეობაშია. საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკი უწინდელ თავმჯდომარისა და წევრების წყალობით აცაა სულს განაბავს, თუ ახლებმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს და სასურველ ნაბიჯზე არ დააყენეს.

სოხუმში ყოველ წლობით სახალხო სეირნობა იმართება საქველმოქმედო აზრით და 1200—1500 მან. შემოდის ხოლმე. ცუდს არ ინებებენ აქაური ქართველი საზოგადოება და პატივცემულნი მანდალოსნები, თუ ითავებენ და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართავენ სახალხო სეირნობას და საქველ-მოქმედო ბაზარს, ამისთანას, როგორიც იმართება ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა და სხვაგან. საჭიროა „წ.-კ. საზოგადოებამაც" ყურადღება მოგვაქციოს და დაგვიარსოს ქართული სკოლა და სამკითხველო.

სამი თვე არ გასულა, რაც აქ კოსტანდის ცირკმა სხვა-და-სხვა ოინებით ხალხი დაატყავა და ეხლა მეორე გვეწვია—ფრიგულის ველოსიპედის ცირკი. აქაურები ცირკს ძალიან ეტანებიან და, რა თქმა უნდა, ამ ცირკის პატრონიც კარგ ფულს წაიღებს.

ქ. ჩ—ნი.

—

ლარსი (მთა). მეცხვარეებს ცუდი დღე ადგიათ ქურდ-ქისტებისაგან. ზამთარ-გავლილ ცხვარს რომ მორეკავენ გროზნა-ყიზლარის მხარეებიდან, ზოგი ბალთა-ციმსა, და ლარსში დაატრიალებს ხოლმე ცოტა ხნობით ცხვარს, მინამ მთაში ბალახი წამოიზრდებოდეს. მაგრამ მეცხვარეებს თავზე ხელ-აღებული ქისტები მოსვენებას არ აძლევენ. ქისტები ტყეში ჩაესაფრებიან ხოლმე ცხვარს; ცხვარი მიუახლოვდება თუ არა ტყეს, მოსხლეტავენ ცხვარს, შერეკავენ ტყეში, მიაფარებენ, შებინდებამდინ ჰყავთ დამალული და შებინდდება თუ არა, არხეინად მიერეკებიან წყალგაღმა სოფ. ჯაირახისაკენ. ამ ნაირად გიგაურებს, ღუდუშაურებს და დავითაშვილებს მაისში ათას სულამდის (1000) ცხვარი გაურეკეს. ოთხი ქისტი დაკარგულ ცხვრების პატრონებმა დაიჭირეს იმ დროს, როცა ორმოც-და-ხუთი სული ამათი სერის ქედილა მიუდიოდათ სოფ. ბაზორკინისაკენ. ქისტები კავკავში გამომძიებელს გადასცეს, დანარჩენ დაკარგულ ცხვრებისა პატრონებს ჯერ ვერაფერი ვერ გაუგიათ. ხუთს მაისს ბალთასა და ლარსს დაჰხვდნენ ავაზაკები ლარსიდან კავკავს მიმავალ მედგროგეს და წაართვეს ცხენი. ბალთასა და ლარსს შუა გიზელელი ოსები ცხენის ურმებით ბეგარაზე მიდიოდნენ: დარიელაში უნდა მიჰგებებოდნენ ტფილისიდან მომავალ ბატარეიას. ოსებს გზას იქით ცხენები გამოეშვათ და აძოვებდნენ. მოულოდნელად დაეცნენ ქისტები და მოსტაცეს სამი ცხენი. უიარაღო ოსები გადაუდგნენ წინ და არ ანებებდნენ ცხენებს. მაგრამ ქისტებმა ოსებს დააყარეს თოფები. ერთს ოსს მოარტყეს წვივში და იქვე წააქციეს. დაჭრილი ოსი ლარსში მოიყვანეს, ჭრილობა შეუხვიეს და ურმით წაიყვანეს შინ.

ქართველი ოსებში.

—

სადგური მუხიანი (იმერეთი). ახლო-მახლო სოფლებიდან აქ დიდ-ძალ კომბოსტოს, კარტოფილს, ბალს და სხვა-და-სხვა ხილს და ქირნახულს ეზიდებიან და ჰგზავნიან რკინის გზით სხვა-და-სხვა მხარეს. დღეში რამდენიმე ვაგონი იტვირთება. სადგურში არ არის არც ამწონელი და არც მეკონტორე. ამათ დანიშნულებას ასრულებენ მეისრეები და დარაჯები. საქონლის გამგზავნისა და მიმღების ბედ-იღბალი ამათ ხელშია... ხშირად თითო ორ-ორ დღესაც აცდევინებენ ხოლმე სოფლის ხალხს, რომელთათვისაც ეხლა დრო ძვირადა ღირს. საჭიროა აქაც დაინიშნოს ამწონელი (ვესოვშჩიკი) და მეკანტორე, თუ მთელს წელიწადს არა, ზაფხულობით მაინც. ამას გარდა სადგურის მეოხებით წერილები და გაზეთები რიგზე ვერ მოდის.

მგზავრი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი.

პეტერბურგი. გენერალ ფლუგის დეპეში მუკდენიდან: „ნამესტნიკის შტაბთან მყოფი სამხედრო ცენზურა სთხოვს ყველა გაზეთებს, რომელთაც თავიანთი კორესპონდენტები ჰყავთ ბრძოლის ველზე, ზედ-მიწევნით შეა-

---

„ჩვენთანაა არს ღმერთი", იაპონია კერპთ-თაყვანის მცემელი, ველური, გაუნათლებელი ქვეყანაა და თუ თქვენ გმირულად იომებთ, მტერი მალე იქმნება ძლეული. ჯარი აღტაცებულ „ურა"-ს იძახის. დეკორაცია თვალის დახამხამებაზე იცვლება: გამოჩნდება ნიკოლოზის სადგური პეტერბურგში, ჯარი საჩქაროდ მატარებელში სხდება და რამდენისამე წუთის შემდეგ ვეებერთელა მატარებელი კიდევაც დაიძვრის სცენიდან. მატარებელი მაყურებლის წინ მიჰქრის. სურათები იცვლება, თითქოს მართლა სხვა-და-სხვა მხარე გაევლოს მატარებელს, გამოჩნდება ურალის მთები, ციმბირის თოვლიანი მინდვრები და ბოლოს მატარებელი მანჯურიაში ჩერდება. გზაში მეომარნი მხიარულობენ, ცეკვაობენ, მღერიან, ხუმრობენ და სხვ.

შემდეგი სურათები ბრძოლის ველს წარმოადგენს, სცენაზე რამდენჯერმე დიდი შეტაკება ხდება, რომელშიაც რუსები იმარჯვებენ. ყოველ სურათში იაპონელნი სუსტობენ და ძლეულნი უკან ბრუნდებიან. ერთ სურათში გამოჰყავთ იაპონიის ჯაშუშებიც. საინტერესოა ბრძოლა პორტ-არტურთან, სადაც ბევრი გემი იღუპება. საინტერესოა აგრეთვე „ვარიაგ"-ის აფეთქება და დაღუპვა.

დანარჩენი სურათები წარმოადგენს იაპონიის მდგომარეობას. იაპონიის ფინანსთა მინისტრს მოუწვევია ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენელნი და ფულს ესესხება. ესენი უარს ეუბნებიან და თანაც დასცინიან. მინისტრი მაინც თავისას არ იშლის და იმათ გასართობად დიდ მეჯლისს მართავს. დაიწყება გეიშების ცეკვა-თამაში სიმღერით. უეცრად შემოვარდება მსახური და მოახსენებს მინისტრს, რუსები ტოკიოს დაეცნენ და ეს-ეს არის თქვენ დასაჭერად მოეშურებიანო. ყველა თავ-ზარდაცემული აქეთ-იქით გარბის. მართლაც სასახლეში შემოვა რამდენიმე რუსი და თოფს ისვრის. წარმოდგენა თავდება აპოთეოზით: რუსებს გაუმარჯვნიათ და ორ-თავიანი არწივი მედიდურად დაჰყურებს ამომავალ მზის ქვეყანას.

ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს 500 კაცი. იგი წარმოადგინეს პირველად 30 აპრილს, მას აქეთ ყოველ დღე სდგამენ და აქამდის ურიცხვი მაყურებელი ესწრება. ამ სახალხო თეატრში ყოველ დღე იგრიხება შემოწირულება. ამას გარდა აქვე ჩამოკიდებულია ვეებერთელა რუკა, რომელზედაც აღნიშნულია ადგილები, სად რუსები დგანან და სად იაპონელები. დეპეშები სახალხო თეატრში იწერება ყოველ დღე სამი საჟენის სიგრძე ქაღალდზე დიდრონის ასოებით. ოც ნაბიჯზე სულ ადვილად შეიძლება ამ დეპეშების წაკითხვა.

ქ. ფ—შვილი.

სრულონ თავიანთი მოვალეობა ნამესტნიკის შტაბში ორ-ორ ეგზემპლიარის გაზეთის გამოგზავნით, სადაც დაბეჭდილი არიან კორესპონდენციები. თუ ნამესტნიკის შტაბში ეს ეგზემპლიარები არ მოვიდა 7 ივნისამდე, იმ შემთხვევაში, როგორც წესის დამრღვევთ, ცენზურა იძულებული იქმნება ამ კორესპონდენტებს მათის გაზეთის მიღებამდე აღუკრძალოს კორესპონდენციების წერა.

ნიუ-იორკი. გაზეთმა „უორლდ“-მა დეპეშა მიიღო, სადაც აცნობებენ, რომ ამ გაზეთის კორესპონდენტი, პოლკოვნიკი ემერსონი, რომელიც აღმოსავლეთ აზიაში იყო, გაბრუნებულმა რუსებმა დახვრიტეს, რადგან ჯაშუში ეგონათ.

8 ივნისი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ერთის დეპუტატის შეკითხვაზე ინდოეთის სტატს-სეკრეტარმა ბროდრიკმა განაცხადა, რომ ბრიტანიის მთავრობა თანახმა გახდა 12 ივნისამდე გადასდოს ლხასისაკენ გალაშქრება; თუ ამ დრომდე ტიბეტელებმა გიანძეში არ გამოგზავნეს მოსალაპარაკებლად საპატიო შუამავალი ჩინეთის მოხელესთან ერთად, ექსპედიცია მაშინვე გაემართება ლხასისაკენაო. მეორე დეპუტატის შეკითხვაზე ბროდრიკმა განაცხადა, რომ ბრიტანიის ექსპედიციას მაშველი რაზმი გაეგზავნა, რომელიც უკვე უახლოვდება გიანძესაო. შემდეგ ბროდრიკმა სთქვა, რომ რუსეთს უკვე შეტყობილი აქვს ინგლისის პოლიტური მიზანი ტიბეტში, მაგრამ ამის თაობაზე მიწერ-მოწერის გამოქვეყნება ჯერ მოსახერხებელი არ არის; გარეშე საქმეთა მინისტრმა შეატყობინა რუსეთის ელჩს ყველა გარემოებაო.

მადრიდი. პოლიციამ დაატუსაღა ვიღაც უცნობი, რომელსაც მინისტ-პრეზიდენტის მაურის მოკვლა განეზრახა.

ჩიკაგო. რუზველტის არჩევა შტატების პრეზიდენტად უზრუნველყოფილია.

ბობროვი. ძლიერმა სეტყვამ მთელს ქალაქში ფანჯრის შუშები ჩაამტვრია, გაანადგურა ბაღები და ბოსტნები და მოჰკლა ბევრი შინაური პირუტყვი. ზარალი თვალსაჩინოა.

პეტერბურგი. 7 ივნისს ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე მემკვიდრის, მინისტრებისა და გენერალიტეტის თანადასწრებით დაასაფლავეს სერგიევის მონასტერში გენერალ-ადიუტანტი ბობრიკოვი.

კოვნო. ვილკომირში ცეცხლისაგან დაზარალებულნი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ. 1000 სახლია დამწვარი; 1500 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. საჭიროა ჩქარი დახმარება. შემოწირულებანი უნდა გაეგზავნოს საგუბერნიო დამხმარებელ კომიტეტს, რომელსაც გუბერნატორი თავმჯდომარეობს.

ვენა. მარშალმა შაქირ-ფაშამ გადასცა იმპერატორს სულთანის საკუთარ ხელით მინაწერი წერილი და ორდენი.

გიბრალტარი. ლისაბონიდან მოსული ამერიკის ესკადრა 9 ივნისს პირეიში წავა.

პინსკი. მოვიდა ქვეითად მოსიარულე მგზავრი ფრანგი ესკადალი, რომელიც 1899 წელს შემდეგ მგზავრობს იმ განზრახვით, რომ მთელ დედა-მიწას შემოუაროს. ფული სულ არ წაუღია თან. ესკადალი ახლა ციმბირში მიდის.

მოსკოვი. სამრეწველო სახელოვნო მუზეუმთან შესდგა საზოგადოება ხალხში სამრეწველო და სახელოვნო ცოდნის გასავრცელებლად. ზოოლოგიურ ბაღში მართავენ კარგის ჯიშის ფრინველთა და პირუტყვთა მუდმივ გამოფენას.

7 ივნისი

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან). ის ცნობა, რომ ცონჩევი და იანკოვი მაკედონიაში აპირებენ წასვლასაო, მართალი არ არის. ისინი სოფიაში რჩებიან და მაკედონელებს ურჩევენ მყუდროება არ დაარღვიონ.—ოსმალეთის მთავრობა არ თანხმდება სოფიის საადგილ-მამულო ბანკისაგან მოცემული ერთი მილიონი ფრანკი ოსმალეთის ვილაიეტებში ბოლგარელ მცხოვრებლებს დაურიგდეს, თუმც ბოლგარიის მთავრობამ მიიღო ოსმალეთის წინადადება შემწეობათა გაცემის წეს-რიგის შესახებ. პორტამ გადასდო პასუხის გამოცხადება.

სტამბოლი. დიდმა ვეზირმა ბერძენთა პატრიარქს შეხვედრისთანავე მოსთხოვა კუცოვლახების შესახებ დავის გადაწყვეტა, რადგან პატრიარქის მოქმედება პორტას სხვა-და-სხვა დაბრკოლებას უყენებს წინ. ბერძენთა პატრიარქი გადაჭრით უარს ამბობს განცალკევებულ კუცოვლახების ეკკლესიის შექმნაზე, რადგან ეს ეწინააღმდეგება კანონიერ უფლებას.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). მიუხედავად ხმებისა, თითქო სამინისტრო უნდა დაეცეს, თავადისა და სამინისტროს შორის არსებობს სრული თანხმობა. სოფიის პოლიტიკური წრეები გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევენ მთავარ ფერდინანდის შეხვედრას სერბიის მეფესთან, ვიდრე წინად ჰფიქრობდნენ და ამ შეხვედრაში ჰხედავენ საგულისხმიერო ნაბიჯს ორივე ქვეყნის პოლიტიკურ დაახლოვებაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

საკომერციო სასწავლებლის დირექციი

ამით აცხადებს, რომ თხოვნები იმ პირთა, ვისაც ჰსურთ შვილები მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიაბარონ, მიიღება ყოველ დღე უქმეების გარდა სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1-ლამდე.

მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში ბავშებს **უეგზამენოდ** მიიღებენ; ბავშის წლოვანება უნდა იყოს 7—9 წ. (3—229—3)

**СѢДЕЛЬН„
СПЕЦІЯЛЬН**

Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—37)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, აშერიგ განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავიწყე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—34) პატივისცემით **ბ. გ. ბერიევი**

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—9)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად დაკრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავალდო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—18)

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში **ფასი 25 კაპ.**

„ლალატი“

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. **თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა,** თარგ. კ. მესხის-მიერ.

ვინც 50 კაპ. ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (0—11)



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СОП
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლ. ეოპოლდ ნეიშელ ლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—47)

Доз. цензурою. 3 Іюня 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. Электропеч. Груз. Изд. То—ва.